

უცხოური სკორტის სარბიელი

ქრონიკული
გიგლოთიკა

ბაზეთ „სარბიელის“ ყოველთვიური ჩანართი-დაიჯაბტი

№ 3 თებერვალი, 1996


ჰილი მამის ლანდს
უკამათება



მოკალაღე
სტრულცოვის
საიდუგლო



«რბილს» პრეზიდენტი
ბეზიანა






პარლმ რეპუბლიკა

იტალიურიდან თარგმანა
დავით შიშხიძისა

იცნობდეთ, პატრიკ პიანირა



პატრიკ პიანირა

მცი წლისაც არ იყო ვიერა, როდესაც „მილანის“ მწვრთნელების წინაშე წარსდგა. ეს არის „მილანის“ მესამე ხანგი მოთამაშე ვეასა და დეასის შემდეგ.

ვიერა სენეგალში დაიბადა. ჯერჯერობით მწვრთნელია შუაფასო არ ფეხბურთელის ჭეშმარიტი ძალი, მაგრამ ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ მას აქვს ნიჭი შესაფერ პირიბეებში დიდ ფეხბურთელად გახდომისა.

მეგობრები: კანში მას მრავალი მეგობარი ჰყავდა. განსაკუთრებით მეგობრობდა ფრენურთელ ფაკ ლოკოსთან, რომელიც მის ოჯახში სადილზე ხშირი სტუმარი იყო და თანაგუნდელეთთან ჟან მიშელ კაოსთან და ბერნარ ლამბერთან. რა ტიპია ეს ბერნარ — ჰყვება ვიერა — არაფერს ვეილება სერიოზულად, ვარჯიშზე დაგვიანება რომ გაამართლოს, ათას სისულელეს იგონებს.

დადებითი თვისებები: დეამისი როზა ჰყვება, „მისი უბედურება ისაა, რომ უარის თქმა არ შეუძლია. როდესაც გადაწყდა პატრიკის მილანში გადაყვანა, სახლში ტელეფონი ვიევიით რქდა. პატრიკი ჭკვიანად გადავიდა ლაპარაკისგან. მაგრამ უარი არავისთვის უთქვამს. ძალიან დიდსულგანია. ყოველთვის აქვს საჩუქრები ბავშვებისთვის და როცა მიყვები ტანსაცმლის შესაძენად, აუცილებლად ყიდულობს ჩემთვისაც“.

კონტრაქტი: „მილანთან“ (ოფიციალურად ვიერა იქ წარსდგა 18 ნოემბერს) კონტრაქტი გაფორმდა 2000 წლის 20 ივნისის ჩათვლით. სეზონზე 600 მილიონ ლირაზე მეტს გადაუნდინა. ეს კი არც თუ ისე ცოტაა. თუ გავიხსენებთ მის პირველ ანაზღაურებას „კანში“. იქ მას 2500 ფრანგულ ფრანკს უხდიდნენ, რაც ოდნავ მეტია 700 ათა სლირაზე.

დაკარი: სენეგალის დელაქაქაქა, სადაც იგი 1976 წლის 23 ივნისს დაიბადა. 7 წლის იყო, როცა ოჯახი ჯერ პარიზში გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო შემდეგ საფრანგეთის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ დრიუში, სადაც დღემდე ცხოვრობს. დაკარი კი ის ქალაქია, სადაც ვიერამ პირველად ითამაშა ფეხბურთი.

ემილიანა: დეამისის ნათლობის სახელია, სახლში კი ყველა უბრალოდ როზას ეძახის. ეს არის ძლიერი ხასიათის, მომთმენი და ყოჩაღი ქალი, რომელიც დილით 5-ის ნახევარზე დგება, რათა წავიდეს ვერსალში, სადაც მზარეულად მუშაობს. შვილის წარმატების მიუხედავად, იგი არ ცვლის თავის ცხოვრების წესს. „პატრიკმა მთხოვა შემეცვალა სამუშაო, მაგრამ მე არ შემიძლია. არასოდეს მომწონდა გულხელდაკრევილი ჯდომა“.

ოჯახი: დედის გარდა მამა ნისკო, რომელიც აგრეთვე თამაშობდა ფეხბურთს პარიზის ერთ-ერთ სამოყვარულო გუნდში და მეგობარი ქალი ნატალი, რომელიც უკვე ერთი წელია მათ ოჯახში ცხოვრობს.

გოლი: ვიერა შემტევი თავდამსხმელი არ არის. „კანში“ სულ ორი გოლი აქვს გატანილი ჩემპიონატში და ერთიც უეფას თასზე.

პობი: ვიერას ადელვებს ყოველივე, რაც დაკავშირებულია ტანსაცმელთან. კენცო და ვერსაჩი მისი საყვარელი მოდელიორები არიან. ყველაფერს სიამოვნებით იცვამს, რაც მოდამია.

შთაბეჭდილება: ნერვიულობის გამო პირველი შთაბეჭდილება საუკეთესო არც შეიძლება ყოფილიყო. „ვეუ და დეასი დიდი ენთუზიაზმით მიყვებოდნენ გუნდზე, მოთამაშებზე... მე უკვე შემიძლია პიროვნების შეცნობა და კიდევ ვიცი, რომ მივალწიო იმას, რაც მინდა, ბევრი უნდა ვისწავლო“.

ენა: ვიერა მხოლოდ ფრანგულად ლაპარაკობს. პრეზენტაციის დღეს ის მშვენიერი თარჯიმნის მეშვეობით საუბრობდა. დეასი ერთადერთი უცხოელი მოთამაშეა „მილანში“, რომელიც იტალიურად კარგად ლაპარაკობს და პირველი დღიდანვე სულ პატრიკის გვერდითაა, რათა რამე გააგებინოს. ვიერამ უკვე გადაწყვიტა იაროს იტალიური ენის შემსწავლელ გაკეთილებზე და თანაც ჩქარობს ამ გადაწყვეტილების განხორციელებას.

არმია: ეს მთავარი პრობლემა იყო „მილანში“ ჩასვლამდე, მაგრამ საფრანგეთში გარკვეულმა ავტორიტეტებმა მონაზერზეს ამ პრობლემის გადაჭრა: — მისი არმიაში გაგზავნის ვადა გადაწიეს 1998 წლის ბოლომდე.

კერძები: პატრიკი აღმერთებს დეამისის ბიძაშვილს, რომელიც, როგორც კი მათთან ჩამოვა, ეგზოტიკურ აფრიკულ კერძებს უმზადებს, როგორცაა, მაგალითად: ტიელუ-ჟენი, რომელიც თევზის, მწვანის, სტაფილოს, კომბოსტოს, ბრინჯისა და მაიონეზისგან მზადდება. პატრიკი „მილანშიც“ ცდილობს არ უღალატოს თავის ტრადიციულ კულინარიას.

რეზიდენცია: მისთვის ბინის არჩევა, რა თქმა უნდა, პრობლემა არ წარმოადგენდა, იტალიაში ჩასვლის პირველივე დღეს „სან-სიროდან“ ორიოდ ნაბიჯში შეიძინა ბინა. იმ უბანში, სადაც ბაუკ, ბობანი, დეასი, ერანო და ფურტე ცხოვრობენ.

სკოლა: მას აქვს ინფორმაციის ტექნიკუმის დიპლომი. როდესაც „კანში“ ჩაირიცხა, სწავლის ფულს უკვე გუნდი იხდიდა. „თუ ფეხბურთელი ვერ

ვიქნები, სპეციალობა მაინც მექნება“ — ასე ფიქრობს ვიერა.

ოცდათერთმეტი: ეს არის მისი მაისურის ნომერი, ყველაზე მაღალი სერია „A“-ში.

უეფას შეჯიბრებებში ვიერამ „კანის“ შემადგენლობაში ოთხი შესანიშნავი მატჩი ითამაშა და ერთი გოლიც გაიტანა.

მენუთე: ვიერა არის მესამე საფრანგეთიდან, რომელიც „მილანის“ შავ-წითელ მაისურს ატარებს. პირველი იყო ნესტორ კომბენი, რომელიც „მილანში“ 1969-დან 79 წლამდე ითამაშობდა, შემდეგ ვან-პიერ პაპენი, მარსელ დეასი და ვეა.

ანაზღაურება: „მილანში“ ვიერას გადაუნდინა 25 მილიონ ფრანგულ ფრანკს. ე.ი. 8 მილიარდნახევარ ლირას. „კარგი ფასია“ — ამბობს „მილანის“ გენერალური დირექტორი არიეტო ბრანი და, რომელსაც ნანახი აქვს მისი პირველი თამაში ორი წლის წინ „მონაკოსთან“, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის მხოლოდ 19 წლისა და საუკეთესო თამაშები წინა აქვს.



ალმა მასანდრ ნილინი
რუსულიდან თარგმან
ილია მსიამაძე

ღობთ, არ ვიქნები კორექტული თუ ამჟამად დაქირავებული გაზეთის სატირიკოსის მოქმედებას დღევანდელი ნებადართული აზროვნების პოზიციიდან გაგანალიზებთ. ეჭვი არ მეპარება, ჟურნალისტი ნარინიანი ცოცხალი რომ იყოს, მწარედ გაეცინება თავის ფელეტონზე ან იქნებ მოეკრიბა ვაჟაკობა და თქვა, კონსერტულად რა კონინუქტურული მოსასრებები უბიძგებდნენ მას ამა თუ იმ გამობტომისთვის, მე ფელეტონისტს არ ვდებ ბრალს, მე მისი სამწუხარო შრომის შედეგს განვიხილავ, როგორც დროის მანიშნებელს, როგორც ქვეყნის საშინელ მახასიათებელს.

ნარინიანი ოსტატია და მის ნაწერში არც ერთი უწყინარი სტრიქონი არაა, ყველა მსაკერულად დახატულია...

რა თქმა უნდა, მან კარგად იცოდა, რომ ამ საქმეში ჩახედული მისი ფელეტონი ვერაფერში დაარწმუნებდა, ამიტომაც სრულიად გასრებულად მიმართავდა სპორტულ საქმეებში ნაკლებად გარკვეულ მასას. ბრბოში აღვივებდა ობიექტურ პათოსს და ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ

ბევრი აზრით, რუსულ ფეხბურთში არ ყოფილა ეღუარდ სტრელცოვზე უფრო კაშკაშა კარსკელავი და ამასთან ერთად მასზე უფრო ტრაგიკული ხვედრის მოთამაშე. მარტო ფაქტებით რომ ვიმსჯელოთ: მართლაც ნიჭიერი უნდა იყო, რომ 7 წელი ციხეში ყოფნის შემდეგ (თანაც საბჭოთა ციხეში), მოედანს დაუბრუნდეს და ორჯერ საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდეთუმცა ეს სტატია არა იმდენად სტრელცოვზეა, არამედ იმაზე, როგორ გეგმავსომიერად, საბჭოთა პრესისთვის ჩვეულ სტილში სპობდნენ არაორდინარულ პიროვნებას, რადგან ტოტალიტარულ სახელმწიფოში არ შეიძლებოდა ყოფილიყავი სხვებისგან გამოჩნეული, თუნდაც უდიდესი ნიჭით ყოფილიყავი დაჯილდოებული...



ეს კასი უნდა დასჯილიყო...

კრიტიკულად განწყობილი მასა წალკაგადა ან დაამინებდა ნებისმიერ მცოდნეს.

ღიას, იგი, უმეტეს შემთხვევაში ფაქტებს ვერაღიარებდა, თუმცა ძალზე თავისუფალია მათ ახსნაში.

„კარსკელავის დაავადებაში“ (ფელეტონის სათაურია, რედ.) იგი მიმართავს არა იმ გულშემატკივრებს, რომლებსაც, უბრალოდ უყვართ მოთამაშე, არამედ იმათ, ვინც აგრესიულად მომთხროვანია თავისი კრპისგან. ტალანტი ვალდებული იყო ახვედროდ უფრო გულმოდგინედ ემსახურა საზოგადოებისთვის ვიდრე უნიჭს, თორემ არავინ აპატიებდა ტალანტს თვით არსებობასაც კი.

ფელეტონის ნარინიანი მწერთნელის ვიქტორ მასლოვის დაკნინებით იწყებს — „მას ეშინია სტრელცოვს შენიშვნა მისცეს“. აბა როგორი აღმზრდელია იგი ყოველივე ამის შემდეგ?

გამოჩენილი მწერთნელი ვიქტორ მასლოვი, რომელმაც სტრელცოვი აღმოაჩინა (სწორედ მან აიყვანა იგი 16 წლის ოსტატთა გუნდში) ამბობდა: „კარგად რომ ითამაშო, უნდა გააკეთო ის, რაც შეგიძლია და არ გააკეთო ის, რაც არ შეგიძლია“. მან კარგად იცოდა, რომ საქმე ჰქონდა დიდ, იმედისმომცემ ტალანტთან, არა პროფესიონალთან (რაც არ იყო, არ იყო), არამედ, ალბათ, გენიოსთან. გენიოსთან ურთიერთობაში კი ვერავითარი პედაგოგიური გამოცდილება ვერ გიმშველის. 1957 წლისათვის სტრელცოვმა მოასწრო ორ ცნობილ პედაგოგთან მუშაობა. ბესსეოვზე ხშირად დადიოდა, რომ მას სურდა იეანოვისა და სტრელცოვის გაგება, მაგრამ ავტოკარხნის ხელმძღვანელობა ამის წინააღმდეგი იყო. მაერთად ეს ჰგავს ბესეოვის ხელწერას, მაგრამ მე უფრო საკუთრივ ბესეოვის აზრს ვენდობი, რომელსაც ეჭვი არ ეპარებოდა

სტრელცოვის ნიჭიერებაში. მოროზოვმა კი გარისკა და 17 წლის ეღუარდი მოსკოვის „ტორპედოს“ ძირითად შემადგენლობაში ჩარიცხა.

ახლა უკვე ყველასათვის ცნობილია არკადი ვოლსკი, რომელსაც მაშინ მხოლოდ ავტოკარხანაში იცნობდნენ, ერთხელ თქვა, რომ მაშინ დახმარებოდი სტრელცოვს მანქანის შექმნაში იგივე იყო, რაც ბავშვისთვის ბასრი საგნის ჩუქება. მაგრამ ამაში ხელის შეშლა, უბრალოდ, სასაცილო იყო.

ეღუარდი 13 წლიდან უკვე მოზრდილ საზოგადოებაში. ქარხანა „ფრეზერის“ გუნდში ის თავიდანვე ლიდერი იყო. თამაშის დროს არავინ ფიქრობდა, რომ იგი ასაკით პატარა იყო. მხოლოდ მაშინ შეცებოდნენ ხოლმე, როდესაც მოკბული თამაშის აღსანიშნავად საპელმენემ შევიდოდნენ და მათ გვერდით პატარა ბიჭს აღმოჩნდებოდა. მოკბებოდნენ ჭკუაზე და ბიჭს გულზე გადა ჩუქნიდნენ ფულს ნაყინისა და კინოსათვის.

მაგრამ ოსტატთა გუნდში უფროსების მსგავსი მოქცევა ხომ გამორიცხებული იყო? დიდი სპორტი მკაცრია და იქ აღარავინაა გამჩრევი ვინ დიდია და ვინ პატარა.

სტრელცოვი იხსენებდა, რომ პირველად იგი ოსტატთა გუნდში სათამაშოდ ამხანაგურ მატჩში გამოიყვანეს, ვორკში. „მოედანი თოვლით იყო დაფარული და გასასურებლად ერთი ჭიქა პორტკევი დამალავინეს. მე დავიღე და... გამოვთავყენდი.“ ინტენტილიზმი ახლოღუტურად შეუთავსებელია მაღალ მიღწევებთან, თუმცა სპორტსმენებს ხშირად ამაშიც სიღებ ბრალს. ნამდვილი პიროვნებისთვის დამახასიათებელი უბრალოება და ინფანტილიზმი ერთმანეთისგან ვერ განხრჩევიან.

1964 წელს, მაშინდელი „ლოკომოტივის“ მო-

თამაშე ლევ გორშკოვი მიყვებოდა: „ჩვენთან გუნდში ერთი „თხა“ (კახილი), ტექნიკით ნამდვილი ბრახილიელია, მაგრამ ამდენი ხნის განმავლობაში ერთი გოლიც არ შეუგდია. მწერთნელი გვიჩინებს: წაიყვანეთ სადმე, დააღვივინეთ, ან ქალი ახმარინეთ, იქნებ თავდაჯერებულმა მოემატოს“.

ნარინიანის ფელეტონში თითქოს განრისხებული სტრელცოვი უყვირის მათ, ვინც არყით სახვებ ქიქსს ართმევს: „ხუ უშლით-ხელს ჩემს ღრუბას?“ ეს ფრაზა ამკარად არ ჰგავს სტრელცოვისას. მაგრამ აქ ფელეტონისტს ფსიქოლოგიური ქვეტექსტი აქვს. დარცხვნილი ედია, სწორედ სახმელში ეტებდა იმას, რაც აკლდა. როგორც ყველა დიდ ხელეოვანს, მასაც ყოველთვის ღრნიდა ეჭვი. ის ხასიათის მოთამაშე იყო. არაა გასაკვირი მისი ფრაზაც: „არ მიყვარს თამაში სიცხეში, ზაფხულში“. მაგრამ ყველაზე გასაკვირი იყო ის, რომ პარტნიორებიც და მაყურებელიც მზად იყვნენ ელოდათ იქამდე, როცა მას შთაოვნება ეწვეოდა და ნახავდნენ განუმეორებელ ფეხბურთს. ამ დროს კი ნარინიანი თავის ჟურსიას ანვითარებს: „გადაჭარბებული ყურადღებით ახალგაზრდამ თავი დაკარგა. მას მიუფურთხებია სპორტული საზოგადოებისთვის, ამხანაგებისთვის, მას უკვე უყვარს არა სპორტი, არამედ საკუთარი თავი სპორტში. იგი მოედანზე გამოდის არა როგორც მშობლიური გუნდის წევრი, არამედ როგორც ცნობილი გასტროლიორი პიროვნული სცენაზე. ამხანაგები ცდილობენ, ოფის ღვრიან, ბურთს აწვდიან. ის კი კეკლევობს — ერთხელ დარტყამს კარში, სამს ააცილებს.“

— ჩემთვის ასე შეიძლება, მე ვარსკლავი ვარ! და ეს ვარსკლავი მინდორზეც და ცხოვრებაშიც ისე კი არ იქცევა, როგორც ამას სცილიან-

საორტოქსეები (და გულშემატკივრები) მორწმუნენი არიან, ამიტომ არ გაგიკვირდეთ თუ ვიპოვებთ ნარინიანი თვალს სტრელცოვს.

შეითთხნა „მასობრივი გაიციების უსირცხვილო აქტი“, თორემ რაში უნდა დახვრებოდით მის მეგობრებს მის წინააღმდეგ გამოსვლა, რად ენდობოდით გუნდიდან გაეგოთ თავისი ლიდერი. უნარინიანი თანაგუნდლები მშვენივრად მორიგდებოდნენ.

მასლაჩენკო იხსენებს, როგორ იჯდა საორტოქსეების იმ სხდომაზე, რომელსაც ნარინიანი აღწერს, როგორ შეაძრწუნა ფოტოსურათებმა, სადაც მილიციელების მიერ ნაცემი, სისხლით მოთხზრილი სტრელცოვი იყო და რა აღტაცებით უჩვენებდნენ ამ სურათებს საბჭოთა სპორტის თავკაცები სხვა მოთამაშეებს.

სტრელცოვი არ წაიყვანეს ჩინეთში შეკრებაზე. რა დააკლდა სტრელცოვს, რომ არ წაიყვანეს:

„ჩვენ ვგაშაღებდნენ — იხსენებს მასლაჩენკო — როგორც რეიჯერებს (დღევანდელი ომონელებს). ჩვენ არ შეგვეძლო თავისუფლად ქალაქში გასვლა — კომკავშირულ ან პარტიულ სასჯელს ვერ ავცდებოდით თუ საერთოდ შინ არ გამოგავადებდნენ. დღის ექვსის ნახევარზე პირველი გარჯიში იყო, ძალიან ციოდა. მოგვეცეს კალსონები, რითაც გვეძინა, ვაკუმედნენ გაძლიომამდე. მერე გარჯიში 12 საათზე, ოთხზე კიდევ ერთი ... ჩინეთიდან დაბრუნდით და ისევ გარჯიშები — ამჯერად ტარასოვკაზე.

ტარასოვკაზე გამოცხადდა სტრელცოვიც. მას არაფერი დაუკარგავს ჩინეთში რომ არ იყო. მისი თამაში ჩემპიონატშიც და თასზეც აღფრთოვანებდა მაყურებლებს.

ფეხბურთი შემოქმედებითი შრომაა. ჩვენთან შემოქმედებისთვის არავითარი დრო არ რჩებოდა. ცვსვორობდით იდიოტური რეჟიმით. საუკეთესო ფორმაში ჰქონდა გაწყვეტაზე გავლით. არც ბანობა, არც მზის აბანოები, არც გოგონებთან შეხვედრა (არადა, გოგონები მეზობელი საკურორტო ზონებიდან ესოდნენ ტარასოვკას, რათა ფეხბურთის ანალგეზრდა ვარსკვლავებს გაცნობოდნენ). რეიჯერებისთვის, რომლებიც ომისთვის ემზადებოდნენ, შეიძლება ასეც იყოს საჭირო, მაგრამ იმართვის ვინც მაყურებლისთვის უნდა ითამაშოს, ეს კატორღა იყო“.

ჭეშმარიტი შემოქმედისთვის ძნელი იყო ასეთ პირობებთან შეგუება და ამიტომ საჭირო იყო მათ წინააღმდეგ გალაშქრება ყველა სფეროში. შემთხვევითი არ იყო, რომ ერთდროულად დაიწყო კამპანია სტრელცოვისა და პასტერნაკის წინააღმდეგ...

„პერესტროიკის“ პირველ წლებში მე გამოვაქვეყნე სტატია სტრელცოვის შესახებ. იყო გამოხატულება, მაგრამ მე რამ გამაკვირვა. უყრნალ „ჟურნალისტში“ გაღიზიანებული ავტორი მაკრიტიკებდა ასეთი განზოგადებისთვის და ამ გამოხატულების ავტორი იყო ილია შატუნოვსკი. რომელმაც შემდგომ ფომიჩევთან ერთად დაწერა ფელეტონი „კიდევ ერთხელ ვარსკვლავურ ავადყოფობაზე“, რომლითაც ფაქტურად დასამარა დიდი ფეხბურთელი. მე გამაკვირვა იმან, რომ 30 წლის შემდეგაც შატუნოვსკი არ განიცდიდა სინდისის ქეჯნას იმის გამო, რაც გააკეთა საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი მოთამაშის წინააღმდეგ.

სტრელცოვი ფელეტონის ავტორებს პრაქტიკულად აღარც აინტერესებდათ. ისინი აფრთხილებდნენ იმათ, ვისშიც ჯერ კიდევ იყო თავისუფალი სული, ვინც ჯერ არ იჯდა ციხეში და მაინც ვერ

უძლებდნენ ცდუნებას ფეხი შეეწმინდათ ძირს და გდებულ ვარსკვლავზე.

„იმ დროს, როცა ჩვენი ნაკრები უცხოეთში ასპარეზობისთვის ემზადებოდა, სტრელცოვს შეუფერებელი აღმოჩნდა იმ ნდობისთვის, რომელიც მის კოლექტივმა გამოუცხადა. იგი ჩვეულებამებრ გამოთვრა, ჩაიდინა სისხლის სამართლის სიმე დასაშაული და მალე წარსდგება სასამართლს წინაშე, როგორც ხულიგანი და მოძალადე.“

ბოლშევიკური სტილი — მიაჯავრონ სამარცხვინო ბოძზე უარგუმენტებოდ და ამ დროს ვერ სვდებიან ჩემი კოლეგები, რომ ამ ბოძზე თვითონვე სამუდამოდ ეკვრებიან. მე ვიცი, ისინი არ იყვნენ თავისუფალი იმამი, რასაც წერდნენ. იყო დამკვეთი, მაგრამ განსხვავებით ნარინიანისგან, ის აღარ იყო მიაჯავრება დასჯისკენ, ეს თვით დასჯა იყო. სასამართლო ჯერ არ ყოფილა და სტრელცოვი უკვე გამოცხადებული იყო მოძალადე. არავითარი თანაგრძობა ამ სიმპატიური ბიჭისადმი (დიდა ხნის მერე ბესკოვის მეუღლემ ულამაზესმა ვალერია ნიკოლაევამ აღნიშნა, რომ სტრელცოვი



საოცრად ლამაზი იყო — ბავშვური სახით და ათლეტური აგებულებით). ასე, ოთხი დღით ადრე შევლეთში გამგზავრებამდე სტრელცოვი ნაკრებს ჩამოაშორეს. თუ რამისთვის იყო გასაკიცხი სტრელცოვი, მხოლოდ უახსუსისმეგობრობისთვის და ქარაფშობისთვის და თუ კარგი განწყობით მიუღებთ ამ ფაქტს (როგორც მაგალითად, მე) ეს შეიძლება აღგვეკვა, როგორც სერეული ჩავარდნა და არავითარ შემთხვევაში კრიმინალური საქციელი.

სწორად მინდა გამოვიტო. მე არ მინდა ეს ფელეტონისტიკა მონსტრებად, სტრელცოვი კი „ანგელოზად“ წარმოვიდგინოთ, არც დაგვიანებულ გამოძიებას ვაპირებ, უბრალოდ მინდა ერთად ვცადოთ გავება არარდინარული პიროვნებისა. მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის ყველასთვის გასაკებ სფეროში — ფეხბურთში მორღაწეობდა

არ არიან გამორჩეული ადამიანები უცნაურობების გარეშე. ვინ არის განმსჯელი: იქნებ ამ უცნაურობების გარეშე გამოჩენილი ადამიანი არც არსებობდეს? შატუნოვსკი დასცინის კომკავშირის პაროლტარული რაიკომის მდივანს პოლიშჩუკს, რომელიც აღნიშნავს, რომ სტრელცოვი, პრინციპში, კარგი ადამიანი და მისი საქციელი მისი არარდინარულობიდან გამომდინარეობს. ამიტომ მისი სასტიკად დასჯა არ გვიწინდა. პოლიშჩუკი

უფრო ადამიანური აღმოჩნდა ვერსალსტების ფელეტონშიც კი, რადგან ის მოუწოდებდა, მიეღოთ სტრელცოვი ისეთი, როგორიც ის იყო და არა გადაკეთებული. სტრელცოვი ყველაზე დიდი უბედურება იყო ის, რაც ვენიოსებს ახანათობდა — იგი არაფრით არ ხდებოდა სრულფასოვნად მოზრდილი, მასში ყოველივეს რჩებოდა ზევად, რაც მერე უნებისყოფიანად მარადეობდა ექცეოდა.

„იმ დღეს იგი გორკის ქაზანის რუსული ღვინოების“ მალაზიონის ეროვნულ ტატუშმანს და ოვსიკოვს. ისინი იგვიანებდნენ. სტრელცოვი ღონდინით დაიღალა. ავანაკზე წასვლაც არ ეხალისებოდა, რადგან დააბატიყეს, უარის თქმაც არ უნდოდა. ის იყო უნდა წასულიყო და დანახა სერევი ხანდინიკოვი — ყველასთვის პატივსაცემი მოთამაშე და ტატუშმანი და ერთად გაემგზავრნენ საბედისწერო ადვლასს, „მოსობსტენიუსის“ გაჭრობის მაღალს და ენტერტინის კარასანოვის ავანაკზე, სადაც ისინი მისმა შვილმა ედუარდ კარასანოვმა დააბატიკა...“

შატუნოვსკის ტერინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, სტრელცოვის სასამართლო შემთხვევით როდი იყო დახურული. აქ დამსწერ ადრეი სტაროსტინი ამტკიცებდა, რომ ის იყო სახიზრადი ფარსი. „დაზარალებული“ კალი „ეკკლეცობა“ დარბაზთან, თავი ვინადა მოქონდა და ამბობდა, რომ მას და ედიკს ყველაფერი აეწყობოდათ, სასამართლოს განაჩენი 12 წელი რომ არ ყოფილიყო...“

იმ ზაფხულს, როცას ყველაფერი მოხდა — სასამართლოზეც და შედეგაც ავანაკზე მომზადრის შესახებ ბევრ ვერსიას ვთავებდით, მაგრამ კარგად მახსოვს, არც ერთ მათგანში არ იყო კრიმინალი. არავინ არ აღნაშაულებდა სტრელცოვს. ყველა შემთხვევითი „მეგობარი ქალის“ საქციელს ჰგობდა. განაჩენის გამოტანისთანავე სტრელცოვს მოძალადის დამა დაელო.

გუნდი შევლეთში გაემგზავრა და მას აკლდა საუკეთესო მოთამაშე ედუარდ სტრელცოვი. „სტრელცოვი მილიციამ რომ მჩხვლა“ — წერდა შატუნოვსკი — დარწმუნებული იყო, რომ საქარისი იყო გავით მისი ვინაობა, მას დაუყონებლივ გაანთავისუფლებდნენ.

სრულიად საპირისპირო კი მოხდა. მილიციურები ხარობნენ მომზადრით. თითქოსდა დიდი ხნის ნანატრი აუსრულდათ. სტრელცოვს მოეგება, რომ დასრულდა დიდი ხნის წინანდელი „დინამოს“ ნადირობა მასზე მისი დაიანებული უარის გამო „ტორპედოდან“ წასვლაზე.

ფელეტონისტიკა ამთავრებენ თავიანთ საქმეს, მასების თვალში საბოლოოდ დასცენ მათი ცოტახნისწინანდელი კერბა. „სტრელცოვი „ნაცრისფერი“ ადამიანი იყო. მან ისიც არ იცოდა, რომ სოჭი კასპიის ზღვის პირას არ არის და ზღვის წყალი მლაშე იმითომ ჰგონია, რომ მასში ქაშაყი ბინადრობს. თავისი ჭკუით, საბოლოოდ მოკვლეს ხალხის თვალში.

მაგრამ სტრელცოვი გადარჩა. დააბატირებისა და დიდ ფეხბურთში დაბრუნების წლებმა სტრელცოვი წარმოვიდგინეს მთელი მისი სიმალლით, მთელი მისი ადამიანური სიდიადით.

მიუხედავად მის მიერ გადატანილი დანაკარგებისა (ჯანმრთელობის დაკარგვა, პირველ რიგში), ის მაინც არ არის სისტემის მსხვერპლი, არამედ ვიბრი, რომელმაც გაუძლო ყოველივეს და ამაყად შეეწინააღმდეგა კიდევ მას.

მე კი სისტემის მსხვერპლად მისი საგაზეთო შეურაცხყოფენი მიმაჩნია და კიდევ ის ჩვენთაგანნი, ვინც მათ დაუჯერა.

სუან კარლოს კასასი

ესპანურიდან თარგმნა
მანანა აიშარაშვილმა

მარია ტერეზა უვილოპიტი

განა ჩვეულებრივია, რომ პროფესიული საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი 13 შეილის დედა და 23 შვილიშვილის ბებიია? ეს ხომ გინესის ნიგში შესატანი ამბავია. ქალი პრეზიდენტი თავისთავად უკვე უჩვეულოა, მაგრამ „რაიო ვალეკანოს“ პრეზიდენტმა მარია ტერეზა რივერომ პასუხისმგებლობა სრულად იკისრა. იგი მთლიანად იმ 22 შვილობილითაა დაკავებული ფეხბურთელები რომ შექმნა. ეს ბიჭები მისი ყოველდღიური ნუნილის საგანს წარმოადგენენ, გუნდი ხომ ესპანეთის ჩემპიონატის გრძელ გზას მიუყვება.

ფეხბურთი ვეებერთელა სამყაროა. შეგიძლიათ თქვათ, რომ ამ სფეროში დიდი ცოდნა დაგროვდა?

— დიდი ცოდნა? არა. თუმცა ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ ყოველდღე რაღაც ახალს ვსწავლობ. ამდენი კითხვით, ამდენი ხილვით და „რაიო ვალეკანოს“ მოთამაშებთან უშუალო ურთიერთობით დიდ გამოცდილებას ვიძენ.

— ვინ არის თქვენი მთავარი მრჩეველი?

— ცხადია, ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ არიან ჩემი თანამშრომლები. ალფრედო რივერო, მაგალითად ის კაცია, რომელთან შეთანხმებითაც ხდება გუნდში ყველა ცვლილება. მმართველი უმბერტო ოტეროც მრავლისმცოდნე ადამიანია. ეს ორი და ტელევიზორი ჩემი საუკეთესო დამხმარეან არიან.

— ტელევიზორი?

— რა თქმა უნდა. მე სხვადასხვა ტელეკარნებით გადაცემულ ყველა მატჩს ვუყურებ. ერთი კია, ფეხბურთი სტადიონზე და ფეხბურთი ტელევიზორში, ორი სხვადასხვა რამ არის. ტელევიზორში მატჩის ცქერა იმითაა ჩემთვის მნიშვნელოვანი, რომ მომენტების გაშეორებისას წამყვანის კომენტარებზე ვამახვილებ ყურადღებას.

— ვინ უფრო მეტი იცის ფეხბურთზე, თქვენ თუ თქვენმა მეუღლემ ზოსე მარია მათეოსმა?

— ვფიქრობ თანაბარი ცოდნა გვაქვს. თუმცა ახლა, უკვე ალბათ მე მეტი ვიცი. ზოსე მარიას ფეხბურთი არასდროს ჰყვარებია, მაგრამ ახლა, „რაიო ვალეკანოს“ ხელი მოკიდა და მეტად დაკავებულია ამ საქმით. არ დაგიმალავთ, ზოსე მარია ის ადამიანია, გუნდის უმნიშვნელოვანეს საქმეებს რომ აგვარებს, მაგრამ პრეზიდენტი მე ვარ. ამდენად როგორც კარგ ასევე ცუდ გადაწყვეტილებებს ერთად ვიღებთ. ასე იყო დავით ვიდალის და პედრო მარი საბალას გუნდიდან დათხოვნის დროსაც.



— უკაცრავად, თქვენი მეუღლის მარიონეტ ხართ?

— არა, არაუთარ შემთხვევაში. ზოსე მარია, ემოციური კაცია და თავისი განცხადებებით ხშირად ზიანს აყენებდა გუნდს. ამიტომაც ჩრდილში ყოფნა არჩია. ეს ხელსაყრელი პოზიციაცაა, რადგან მისმა პირადმა კონფლიქტებმა მთავრობასთან,

„რაიო“ შეიძლება პოლიტიკურ საქმეთა ბაღში გაახვიოს.

— მაშ, როგორია მასთან პრეზიდენტის ურთიერთობა?

— მატჩის მსვლელობისას მოძრაობა სატელეფონო კავშირით მუდმივად საქმის კურსში მყავს, თუმცა, ხანდახან რადიოთი უკვე იცის, გავიდა თუ არა გოლი.

— როდესაც გოლი თქვენს გუნდს გააქვს, ემოციით სავსე ეპიზოდებისას, თქვენი საუბარი ვინმემ რომ მოისმინოს, ხომ არ იფიქრებს, საუბარი „ცხელი წერტილიდან“ მიმდინარეობსო?

— არა. ეს უბრალოდ მატჩის შესახებ შთაბეჭდილების გაზიარებაა. ის შეეხება და მეც ვუყვები, როგორ თამაშობენ, ვინ არის საუკეთესო და ასე შემდეგ.

— დღეს ფეხბურთელები მილიონერები არიან. როგორ ცხუბობთ, რომ ბურთს ფეხს მილიონერი ურტყამს?

— ეს არც ადრე მესმოდა და არც ახლა მესმის. ფეხბურთელების შემოსავალი არანორმალურია. ისინი გაცილებით მეტს გამოიმუშავენ, ვიდრე სხვა, უფრო საჭირო პროფესიის ადამიანები.

— რისი თქმა გსურთ, როდესაც ამბობთ ფეხბურთელების შემოსავალი არანორმალურიაო?

— მიუღებელია ამხელა თანხებზე საუბარი. ასე ფეხბურთი რაღაც, ზებუნებრივი სამყარო გამოდის. ალოგიკურად მქვება, რომ ფეხბურთელი, თუნდაც მას ივან სამორანო ერქვას, 1500 მილიონ პესეტას რომ იღებს.

— თქვენ „რაიო ვალეკანოს“ მოთამაშეებს სახალხოდ უწოდებთ განებივრებული და უზნეო ბავშვებო.

— ეს სიტყვები მათი ცუდი თამაშით გაბრალებულმა მთელი გულით წარმოვთქვი. ამას ახლაც არ ენანობ. ფეხბურთელებს რაც შეიძლება დიდი ფულის შოვნა უნდათ. ჩემთვის აშკარაა, რომ ისინი მხოლოდ შემოსავლისთვის სწირავენ თავს. ვფიქრობ, ისინი ცუდად არიან გაზრდილები, ყველაფერში ფულს ხედავენ, პიროვნებებად ჩამოყალიბებას კი არ ცდილობენ.

— გარდა ხელფასებისა, მოგების შემთხვევაში პრემიების გადახდაზე რა აზრის ბრძანდებით?

— უარყოფითი. ეს ძალიან ცუდი წესია, მაგრამ იგი მთელ ლიგაშია მოდებული და იძულებული ხარ დაეთანხმო. გამოდის, რომ მიღწეული შედეგებისა თუ მრავალ სხვა მიზეზთა გამო მოთამაშეებს სულ ზედმეტი ფული უნდა უხადო.

— საპრეზიდენტო ლოგოში ყოფნისას თუ გქონიათ რაიმე განსაკუთრებით საშინელი მომენტი?

— მე „რაიოს“ თამაშისა დროს იმდენად ყურადღებიანი ვარ, რომ გუნდის თითოეულ შეცდომას მეტიმეტად განვიცი. ვერასდროს დაგიფიქვებ საშინელ დღეს, „სალამანკასთან“ რომ წავაგეთ. ტო-

ლდოში, ამავე სახელწოდების გუნდთან წაგებაც მეტად დამთრგუნველი იყო. ეს მაშინ მოხდა, მეორე ლიგაში რომ ვიყავით.

— ეს საშინელი, დაუფიქარი დღეები აისახება რამენაირად თქვენსა და გუნდის მწვრთნელების ურთიერთობაზე?

— დიან, „ტოლდოს“ და „სალამანკას“ შემდეგ ვიდალი და საბალსა წავიდნენ გუნდიდან.

— არის ისეთი რამ, ლოგოში ყოფნისას, მოუხედავად დიდი სურვილისა, არ ან ვერ რომ გააკეთეთ?

— ასეთი რამ წამოდგომა და შინ წასვლაა. იმ დღეს, ვალეკაში „სალამანკასთან“ თამაშის დროს, ფეხბურთელები უსუსური იყვნენ. ვხედავდი, რომ თამაში შესაძლოა 8:1 დამთავრებულიყო. სწორედ მაშინ გამიჩნდა სტადიონიდან წასვლის სურვილი. ეს ჩემს შვილს, გუნდის ვიცე-პრეზიდენტს სორიოსაც გავუზიარე. მან მიამხუსა, რომ ეს არ უნდა შექნა და განსაძვლისთვის იქვე უნდა გამეძლო.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ საპრეზიდენტო ლოგოში სხვა პრეზიდენტებთან?

— მშვენიერი. გუნდების ხელმძღვანელები თავზიანი ხალხია. ისინი ყველგან კარგად მიღებენ. უნდა განსათ, ერთი, რა ხდება მატჩების მსვლელობისას, ისინი ნერვიულობენ, იკვებენ ფრჩხილებს, ეწვიან სიგარეტს, ოფლიანდებიან, არ იციან ხელები სად წაიღონ. ხელმძღვანელები მეტიმეტად განვიციდით ყველაფერს.

— სხვა გუნდების ხელმძღვანელები მთელი სერიოზულობით გეპყრობიან?

— რასაკირველია, მე მათი მეგობარი ვარ, რაც პროფესიული ლიგის სხვადასხვა შეკრებებზე უკვე დაგეგმეთ.

— რა ეშველება რაიოს, თქვენი ოჯახი მასზე ზრუნვით რომ დაიღლება?

— ასეთი ეჭვიც კი საფუძველს მოკლებულია. არა მგონია, ჩემი მეუღლე, ხოსე მარია ამ გუნდზე ზრუნვამ ოდესმე დალალოს. მან საქმეს დიდი სიყვარულით მოჰკიდა ხელი. საზოგადოებრივი საქმიანობის ასპარეზად მან „რაიო“ აირჩია.

— საზოგადოებრივი საქმიანობის?

— დიან, ვალეკა ის რაიონია, სადაც პირველი ლიგის გუნდის ყოფა, ახალგაზრდობას სპორტში აბაძს და ცუდ გზას აცილებს.

— მაგრამ თუ უბნის მოსახლეობა მიატოვებს „რაიოს“?

— მართლაც, გულშემოტიკარი შევეციმირდა. კლუბს ადრე 12 ათასი წევრი ჰყავდა, ახლა 5 ათასი ჰყავს. ამასთან, პირველი ლიგის გუნდისთვის დაბალი ხელფასები გვაქვს.

— „რაიოს“ გაკოტრება ემუქრება?

— არა, ის უბრალოდ წარმატებასა და წარუმატებლობას შორის მერყეობს. ამან საზოგადოება დალადა, გამოსავალი კი ერთია — მოთმინება. თუ მოვასწავებთ, რომ რაიო რამდენიმე წელიწადს პირველ ლიგაში დარჩა, ნახავ, როგორ მოიმატებს ქომაგთა რიცხვი.

— თქვენს მეუღლეს სხვა სარდალი საქმე რომ შესთავაზონ, გაუდის აქციებს?

— დიან, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პიროვნება ან საზოგადოება კლუბს ეკონომიკურად გააჯანსაღებს. ჩემი მეუღლე მათ მხოლოდ მაშინ ენდობოდა, თუ ასოლუტურად დარწმუნდება ამაში. ზედაპირულ გადაწყვეტილებას ის არ მიიღებს.

— ხომ შეიძლება მოატყუონ?

— ხოსე მარიას მოტყუება ძალიან ძნელია. მას რაღაც შეუქვხვ გრძობა აქვს, რომლითაც ცბიერებას იოლად ხედავს.

— ახლა მსაჯებზე ვისაუბროთ. გაქვთ მათ მიმართ პრეტენზია?

— ძირითადად არა. ზოგიერთი მატჩის დროს, ლივიდან ჩანს, რომ არბიტრები ცდებიან, ხან ჩვენს სასარგებლოდ, ხანაც საწინააღმდეგოდ. ისინი ხომ ჩვენსავით ადამიანები არიან და ამიტომაც ცდებიან. აშკარაა, რომ ესპანელი მსაჯები სასტვენს წინასწარი, ცუდი განზრახვით არ იყენებენ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი მეუღლისთვის ზიანის მისაყენებლად სოციალისტური მთავრობა „რაიოს“ რაღაცეებში ხელს განზრახ უშლის?

— ასეთი ეჭვი ხოსე მარიას მაშინ გაუჩნდა, გუნდი პირველი ლიგადან რომ გაკარდა. ყველაფერი მეტად უცნაური იყო. ამ ეჭვის გამო იყო კლუბის პრეზიდენტობა მე რომ გადმომაბარა. და მაინც, მიუხედავად ჩემი ქმრისადმი ჩადენილი უსამართლობისა, ვფიქრობ, რომ ფეხბურთის პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს.

— ამბობენ ფეხბურთი კაცების საქმეა, ქალებისა კი სამწარეულოო.

— ცდებიან. გულშემოტიკარი ქალთა რიცხვი დღითიდღე მატკობს. ადრე სტადიონზე ქალს იშვიათად ნახავდით, ახლა კი ფეხბურთი ქალთათვისაც იგივეა, რაც კინო ან თეატრი.

— თქვენ ახალგაზრდა ფეხბურთელებთან და გუნდის ხელმძღვანელებთან, მოკლედ, დიდ დროს ატარებთ. მეუღლე ხომ არ ეკვიანობს?

— არავითარ შემთხვევაში. ხოსე მარია ბედნიერია, რომ მე უფრო და უფრო ვიძირები იმ სფეროში, ფეხბურთი რომ ჰქვია. ჩემი ძალ-ღონე მთლიანად „რაიოს“ ინტერესებსა ეთმობა. მე ბედნიერი ვარ, რომ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტად ვუშაობ.

